პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნის პროექტი
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: ა) ქეთევან ჯანელიძე -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი (თავჯდომარე) ბ) ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი) გ) ლევან მიდოდაშვილი- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **211349192**

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „სარკინიგზო გადაზიდვები“ და „საბაჟო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 აგვისტოს ბრძანება N728 საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან ჯანელიძე -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი (თავჯდომარე)
ბ) ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი)
გ) ლევან მიდოდაშვილი- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი)

ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის მიღების შემდეგ შეადგინა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 29, 30 აგვისტოს ქ. თბილისში.

ვიზიტი დაიწყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრით. ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა ძირითადად წარიმართა ადგილზე არსებული გარემოებების შესწავლისა და იმ საკითხების დაზუსტების კუთხით, რაც შეუძლებელი იყო დადგენილიყო წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მოხდა შეხვედრა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან. შემოწმდა პროგრამებთან დაკავშირებული ადამიანური და მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი. განხორციელდა ვიზიტი პარტნიორ ორგანიზაციებში.
როგორც მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმებით დგინდება, უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შემთხვევაში, არ იქმნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი,შეათანხმეს ძირითადი საკითხები. ვიზიტის ბოლოს შედგა ექსპერტთა ჯგუფის წევრებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლების შეხვედრა, სადაც ექსპერტებმა წარადგინეს ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი განხორციელდა კეთილგანწყობილ, მშვიდ და საქმიან გარემოში.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	√	
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	√	
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	√	
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	√	
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში,	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	√	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	√	
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	√	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	√	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	√	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	√	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

	(სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;			
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	√	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	√	
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	√	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	√	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	√	
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	√	
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	√	
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**		√
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	√	
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

	დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.			
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	√	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	√	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	√	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	√	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები ექსპერტთა შეფასებით ვიზიტის დროს არ გამოვლენილა.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.7. ქვესტანდარტი

- კორპუსი, სადაც უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, არ არის ადაპტირებული, კერძოდ, არც ერთ კიბეზე არ არის ასასვლელი პანდუსი. ზემოთხსენებული „კიბემავალიც“ ვიზიტის დროს არ იყო ადგილზე, არ ყოფილა წარმოდგენილი არც ფოტო, არც ვიდეომასალა, სადაც ჩანს როგორია ეს მოწყობილობა მოქმედებაში, ანუ ადამიანის აყვანის ტესტი. შესაბამისად აღნიშნული სიტუაციის შეფასებით ვერ დადგინდა ადაპტირებული გარემოს არსებობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1. ქვესტანდარტი

- ✓ დაზუსტდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენილ მოდულებში „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“, ინფორმაცია მოდულის განხორციელების მიდგომებთან დაკავშირებით;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „ხის მხატვრული დამუშავება“ დაზუსტდეს პროგრამის მოცულობა;
- ✓ დაზუსტდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებაში რიგი მნიშვნელოვანი საკითხები: მოდულის მოცულობა, სტუდენტების საწარმოში ყოფნის საათები და დრო, პასუხისმგებელობის საკითხები პროფესიული სტუდენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობები სწავლების პერიოდში სტუდენტის მასალა ნედლეულით მომარაგებაზე და სხვა.

1.2. ქვესტანდარტი:

- ✓ აუცილებელია სისტემატიურად (გონივრულ ვადაში) ხდებოდეს კატალოგის განახლება, სასურველია აისახოს ყველა საგანმანთლებლო პროგრამა, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტი;
- ✓ ვინაიდან კატალოგი წარმოადგენს სარეკლამო ხასიათის დოკუმენტს, სასურველია, ვიზუალურადაც გახდეს უფრო მიმზიდველი. გაჯერდეს რეალური საგანმანათლებლო პროცესის ამსახველი ფოტომასალით, მოიცავდეს ინფორმაციას პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ინფორმაციას სტუდენტების მიღების შესახებ, მოდულის/პრაქტიკის განმახორციელებელი პირების შესახებ, წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ. ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით და სხვა;

1.4 ქვესტანდარტი:

- ✓ სასურველია, დოკუმენტის „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“სახელწოდებაში ჩანაწერი „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე“ შეიცვალოს ჩანაწერით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე“. და ზოგადად პროფესიული განათლების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ტერმინოლოგია მოვიდეს თანხვედრაში კანონთან პროფესიული განათლების შესახებ.
- ✓ აღნიშნულ დოკუმენტში(„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“) რიგი მუხლების დასახელებაში მოხსენიებულია პროფესიული სტუდენტი, რიგ მუხლებში, მხოლოდ სტუდენტი. უმჯობესია დაწესებულებამ დოკუმენტში ან განმარტოს პროფესიული სტუდენტი (შემდგომში სტუდენტი) და მოიხსენიოს შემდეგ სტუდენტად, ან ყველგან დაიცვას ერთგვაროვანი მიდგომა.
- ✓ დაზუსტდეს პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში დაცული დოკუმენტების ნუსხა;
- ✓ დაზუსტდეს და გაიწეროს სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის აღნიშნული სწავლის შედეგის ხელმეორედ დადასტურების პროცედურები და წესი;
- ✓ დაზუსტდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების წინაპირობები და პროცედურები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ერთგვაროვანი მიდგომების დანერგვის და განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიული სწავლების ადმინისტრირებისათვის შექმნას სათანადო მანდატით აღჭურვილი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული;
- ✓ რეკომენდებულია დაწესებულებამ ბოლომდე გამიჯნოს პროფესიული და აკადემური პროგრამების განხორციელების რეგულაციები, ასევე თითოეული პროცესისათვის დეტალურად გაწეროს არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

მხოლოდ პრინციპები, რაც კანონმდებლობით ისედაცაა დადგენილი, არამედ მათი აღსრულების პროცედურები;

1.6. ქვესტანდარტი:

- ✓ სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს *დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე* ციკლს, წარმოდგენილი იყოს უფრო ვრცლად კონკრეტული რეგულაციების სახით, შეიქმნას სხვა კითხვარებიც გარდა სტუდენტის კითხვარისა. ვთქვათ: კურსდამთავრებულთა, პრაქტიკის განმახორციელებელი პირების და სხვა, რათა კვლევა უფრო მრავალმხრივი გახდეს , რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას მეტი ინდიკატორით შეაფასოს პროგრამების განხორციელების ხარისხი.

- ✓ სასურველია კითხვარების სახელწოდებები (სტუდენტთა კითხვარი; პედაგოგთა კითხვარი) ჩამოყალიბდეს შედეგნაირად პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების კითხვარი; პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი.
- ✓ სასურველია, დეტალურად გაიწეროს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო ინსტრუქცია.

3.2. ქვესტანდარტი

- ✓ დაწესებულებამ საკუთარ მარეგულირებელ დოკუმენტში აღწეროს პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

3.3. ქვესტანდარტი

- ✓ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს დასაქმებულის სტატუსი, განსახორციელებელი სასწავლო კურსის/კურსების დასახელება, კანონი პროფესიული განათლების შესახებ ცნობს პროფესიული განათლებლის მასწავლებლის სტატუსს, შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელ პირებთან სწორედ ამ სტატუსით უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებები. წინარე ხელშეკრულებაშიც სასურველია ჩანდეს ის პირობები, რაც შემდგომი შრომითი ურთერთობების დროს იქნება დადგენილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

VII. დაწესებულების მისია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაა შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად. მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. სტუ მუდმივად ზრუნავს საუნივერსიტეტო სფეროში საკუთარი საკომუნიკაციო სივრცის გაფართოება იმპლემენტირებაზე, სადაც უმთავრესი ტრენდია დისციპლინათშორისი, დარგთაშორისი და კულტურათა დიალოგში ჩართული სტუ-ს სტუდენტობა და პროფესურა, მუდმივად ზრდადი კრიტიკული აზროვნების და კომუნიკატური კომპეტენციებით. სტუ აცნობიერებს რა თავის როლს ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაში, აქტიური მონაწილე ხდება ისეთი გლობალური საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი და ზრდადი ტურისტული სტატუსის მქონე ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება, ადგილობრივი სამრეწველო წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიებით გამდიდრება და შესაბამისი სამართლებრივი უზრუნველყოფა, აგრარული პოლიტიკის განხორციელება, თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება, კატასტროფების პროგნოზი 4 და თავიდან აცილება, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განახლებადი ენერგიის სფეროში გამოყენება და სხვა.

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილება გაწერილია დოკუმენტში - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის #01-05-04/176 დადგენილებით. ამ წესის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო. ყველა წარმოდგენილი პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ აღნიშნული წესით გაწერილი პროცედურების დაცვით.

პროგრამებში განსაზღვრულია: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი (ზოგადი მოდულები, პროფესიული/დარგობრივი მოდულები). პროგრამას თან ერთვის: შესაბამისი მოდულები, სასწავლო გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ (სახელი, გვარი, მოდული - რომელსაც ახორციელებს და კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება), სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტების სწავლებისათვის.

გათვალისწინებულია, საჭიროების შემთხვევაში, ქართული ენის შესაბამისი დონის სწავლება, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია.

წარმოდგენილ პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა. პროგრამის შესაბამისი მოდულების შესწავლისას დაცულია წინაპირობები, თანმიმდევრობა ასახულია სასწავლო გეგმაში. ასევე გათვალისწინებულია გადაბარების შესაძლებლობა. სტუდენტთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს.

პროგრამებს ასევე ახლავს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, ინფორმაცია პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისა და პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ხის მხატვრული დამუშავება“** შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე- **ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება / Wood, Stone and Metal Artistic Processing**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია-საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში / Basic Vocational Qualification in Wood Artistic Processing

აღნიშნული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 78 კრედიტი, რომელიც ითვალისწინებს 6 პროფესიულ ზოგად მოდულს - ჯამური 16 კრედიტის მოცულობით და ხუთ საერთო პროფესიულ მოდულს 16 კრედიტის მოცულობით. 9 პროფესიულ მოდულს 46 კრედიტის მოცულობით და ორ არჩევით მოდულს 11 კრედიტის მოცულობით(არჩევითი მოდულები „ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება“ 7 კრედიტი და „იატაკის მოწყობა“ 4 კრედიტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არის შემდეგი ჩანაწერი, რომ, თუ სტუდენტი პროგრამას არჩევითი მოდულების გარეშე გაივლის, პროგრამის მოცულობა არის 78 კრედიტი, ხოლო, არჩევითი მოდულების გავლის შემთხვევაში, 89 კრედიტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში პროგრამა 89 კრედიტიანია. აღნიშნულთან დაკავშირებით გვქონდა კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელმაც აგვიხსნა, რომ, ვინაიდან, ჩარჩო დოკუმენტიც (რომელზე დაყრდნობითაც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა) ითვალისწინებდა არჩევით მოდულებს, ჩათვალეს რომ სტუდენტს ჰქონდა ამისი უფლება. მიეცათ რეკომენდაცია, რომ აღნიშნული ჩანაწერი გასწორდეს და დაზუსტდეს პროგრამის მოცულობა 89 კრედიტი. ხანგრძლივობა - 63 კვირა.

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 104 კრედიტი; ხანგრძლივობა - 74 კვირა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“ მოიცავს მოდულებს „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“, თუმცა წარმოდგენილ მოდულებში არაა დაზუსტებული ინფორმაცია მოდულის განხორციელების მიდგომებთან დაკავშირებით.

დაწესებულებას **„ხის მხატვრული დამუშავების“** საგანმანათლებლო პროგრამის **დანართ #1 „ძირითადი დოკუმენტები“** წარმოდგენილი აქვს 2018 წლის 14 დეკემბერს სს “**განთიადთან**“ გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის, „ხის მხატვრული დამუშავება“ ფარგლებში **„საწარმოო პრაქტიკის“** მოდულით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულებას“ და ამ მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მიღებას და მომსახურებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფ. საგან. პროგრამა **„ხის მხატვრული დამუშავება“ საერთოდ არ გულისხმობს „საწარმოო პრაქტიკის“** მოდულს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულებაში არაა დაკონკრეტებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და სხვა რეგულაციები (ვთქვათ, პასუხისმგებლობა პროფესიული სტუდენტის უსაფრთხოებაზე, ვინ უზრუნველყოფს სტუდენტს მასალა ნედლეულით მომარაგებაზე და სხვა). ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განგვიმარტა , რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა და წარმოადგინა ჩასწორებული ხელშეკრულების ვერსია. განხორციელდა ვიზიტი აღნიშნულ დაწესებულებაში. სადაც განგვიმარტეს, რომ აქვთ ერთდროულად 15 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა. ადგილზე წარმოადგინეს შრომის უსაფრთხოების შემოწმების აქტი და ინსტრუქციები, აგვიხსნეს რომ სწავლის დაწყებისთვის სრულიად იქნება დაცული უსაფრთხოება. სტუდენტების ვიზიტები უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საწარმოს წარმომადგენელთან ერთად.

***

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„გრაფიკული დიზაინის შესრულება“** შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „**ციფრული ხელოვნება / Digital Art**“ საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში / Secondary Vocational Qualification in Digital Art.**

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ მოიცავს 5 ზოგად მოდულს ჯამური 15 კრედიტის მოცულობით; 4 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 19 კრედიტის მოცულობით; კვალიფიკაცია ციფრული ხელოვნების 3 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 12 კრედიტის მოცულობით და კონცენტრაცია - გრაფიკული დიზაინის შესრულების 9 მოდულს ჯამური 44 კრედიტის ოდენობით. ციფრულ ხელოვნებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად 90 კრედიტი.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 90 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 66 კვირა

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 86 კვირა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ გულისხმობს მოდულებს: „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“. „პრაქტიკული პროექტის“ განხორციელების მიდგომებში არის ჩანაწერი, რომ „მოდულის პირველი შედეგი განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო, მე-2 შედეგის საკონტაქტო საათები, პროფესიული გარემოს უკეთ გაცნობის მიზნით, საწარმოში/პარტნიორ ორგანიზაციაში.“ (დაკონკრეტებული არაა ადგილი/პარტნიორი ორგანიზაცია). დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულება შპს „ფაუნტეინ ჯეორჯიასთან'', რომელიც **საერთოდ არ გულისხმობდა „გაცნობითი პრაქტიკის“** მოდულს. სხვა ხელშეკრულება ან მემორანდუმი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი არ ყოფილა. ვიზიტის დროს მოხდა კომუნიკაცია ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელმაც ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ჩასწორებული ხელშეკრულება, სადაც მითითებული იყო მოდული „პრაქტიკული პროექტი“. ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთდროულად საწარმოში 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ხელშეკრულება ასევე გულისხმობს მოდულის “ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება“ პრაქტიკული კომპონენტების მიიღწევას საწარმოში. ხელშეკრულება ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრამდე. ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი აღნიშნულ საწარმოში. სადაც დაგვიდასტურეს სრული მზაობა სასწავლო პროცესისათვის. ასევე განგვიმარტეს, რომ საწარმოში არსებობს სწავლების და კოლეჯებთან ურთიერთობის მსგავსი გამოცდილება.

როგორც სხვა წარმოდგენილ ხელშეკრულებაში, არც აქ არაა დაკონკრეტებული რიგი რეგულაციები. ვთქვათ, პასუხისმგებლობა სტუდენტის უსაფრთხოებაზე, ვინ იღებს პასუხისმგებლობას სტუდენტის მასალა ნედლეულით მომარაგებაზე და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

***

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საბაჟო საქმე“** დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 22 ივლისის #01-05-04/178 დადგენილებით.

პროგრამა შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე **- საბაჟო საქმე/Customs Study**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში/**Higer Vocational Qualification in Customs Study**

აღნიშნული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 93 კრედიტი, რომელიც ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს - ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 16 ჯამური 82 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: - 93 კრედიტი, **ხანგრძლივობა** - 63 კვირა.

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: - 123კრედიტი, **ხანგრძლივობა** - 85 კვირა

სასწავლო გეგმაში „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის საათების განაწილებისას დაშვებულია მექანიკური შეცდომა და არ ემთხვევა მოდულით გათვალისწინებულ საათების განაწილებას. კერძოდ: მოდულით დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილია 6 საათი, ხოლო შეფასებისთვის 3 საათი. სასწავლო გეგმაში პირიქით არის მოცემული - დამოუკიდებელი მუშაობა 3 საათი, შეფასება 6 საათი.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ მოიცავს მოდულებს: „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“, თუმცა, წარმოდგენილი მოდულების დამხმარე ჩანაწერებში არაა დაზუსტებული ინფორმაცია მოდულის განხორციელების მიდგომებთან დაკავშირებით.
დაწესებულებას **„საბაჟო საქმის“** საგანმანათლებლო პროგრამის **დანართ #1 „ძირითადი დოკუმენტები“** წარმოდგენილი აქვს 2019 წლის 9 ივლისს სსიპ შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. წინამდებარე მემორანდუმით შემოსავლების სამსახური იღებს ვალდებულებას მიიღოს პრაქტიკაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ 15 პროფესიული სტუდენტი და უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის განხორციელება.

***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„სარკინიგზო გადაზიდვები“** დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 22 ივლისის #01-05-04/178 დადგენილებით.

პროგრამა შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე - **რკინიგზის ოპერირება/Railway Operation**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში/Secondary Vocational Qualification in Railway Operation**

აღნიშნული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, რომელიც ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს - 15 კრედიტის მოცულობით; 8 საერთო პროფესიულ მოდულს - 25 კრედიტის ოდენობით, 6 კონცენტრაციის მოდულს - 50 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 90 კრედიტი, **ხანგრძლივობა** - 71 კვირა.

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტი, **ხანგრძლივობა** - 91 კვირა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„სარკინიგზო გადაზიდვები“** მოიცავს მოდულებს „გაცნობითი პრაქტიკა“, მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგი N2 ის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი პრაქტიკული მეცადინეობის სახით ადგილზე ეცნობა მომავალ პროფესიას და კონკრეტული ორგანიზაციის (სადგური) მარეგულირებელ დოკუმენტებს. პროფესიული განათლების მასწავლებელი თავად წყვეტს სწავლის შედეგები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ასწავლოს/ შეაფასოს თუ ინტეგრირებულად.

დაწესებულებას **„სარკინიგზო გადაზიდვების“** საგანმანათლებლო პროგრამის **დანართ #1 „ძირითადი დოკუმენტები“** წარმოდგენილი აქვს 2015 წლის 10 ივლისს სს საქართველოს რკინიგზასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, (#01-2018-4 08/01/2018 ცვლილება). წინამდებარე მემორანდუმით სს საქართველოს რკინიგზა უზრუნველყოფს 5 წლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას.
განხორციელდა ვიზიტი აღნიშნულ ორგანიზაციაში, კერძოდ სს საქართველოს რკინიგზის სადგურ „თბილისი მახარისხებელში“. ვიზიტის პროცესში შესაძლებელი გახდა ინსტრუქტორებთან და მათ ხელმძღვანელებთან გასაუბრებაც. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს ნათლად აქვს გააზრებული მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის მნიშვნელობა. დაცულია სტუდენტების უსაფრთხოება. ერთდროულად მიიღებს 15 სტუდენტს.

***

დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის გადამოწმებით დადგინდა, რომ ერთადერთ სასწავლო სივრცეს, რომელსაც გამოიყენებენ, როგორც აკადემიური (ძირითადად, საბაკალავრო) პროგრამების სტუდენტები, ისე ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის პროფესიული სტუდენტები, წარმოადგენს მერქნული მასალების დამზადებისა და დამუშავების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

ცენტრის სივრცე გამიჯნულია ორ ნაწილად, რომელთაგან ერთ-ერთი მოიცავს კვლევით ლაბორატორიას, რომელსაც იყენებენ აკადემიური პროგრამების სტუდენტები, ხოლო მეორე - ხის დამამუშავებელ ჩარხებს, რომელსაც გამოიყენებენ პროფესიული სტუდენტები. ეს გარემოება უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული პროგრამების მიზნებისათვის აღნიშნული სივრცის ერთდროულად გამოყენებას ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გარკვეული მოდულების განხორციელება იგეგმება სტუ-ის აკადემიური პერსონალის მიერ. განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში პერსონალთან და ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს დადასტურდა, რომ აღნიშნული პეროსნალის აკადემიურ პროგრამებზე საქმიანობა ხელს არ შეუშლის პროფესიული პროგრამების ხარისხიანად განხორციელებას. ამრიგად, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ხის მხატვრული დამუშავება“** დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 22 ივლისის #01-05-04/178 დადგენილებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„გრაფიკული დიზაინის შესრულება“** დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიურისაბჭოს მიერ 2019 წლის 22 ივლისის #01-05-04/178 დადგენილებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„სარკინიგზო გადაზიდვები“** დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 22 ივლისის #01-05-04/178 დადგენილებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საბაჟო საქმე“** დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 22 ივლისის #01-05-04/178 დადგენილებით;
- 2015 წლის 10 ივლისს სს საქართველოს რკინიგზასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, (#01-2018-4 08/01/2018 ცვლილება);
- 2019 წლის 9 ივლისს სსიპ შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- 2019 წლის 2 ივლისს შპს „ფაუნტეინ ჯორჯიასთან“ გაფორმებული №01-08-15/870-2019-2 ხელშეკრულება
- 2018 წლის 14 დეკემბერს სს „განთიადთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;
- 2019 წლის 30 აგვისტოს შპს „ფაუნტეინ ჯორჯიასთან“ გაფორმებული №01-08-15/991-2019-2 ხელშეკრულება

რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

- ✓ დაზუსტდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენილ მოდულებში „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“, ინფორმაცია მოდულის განხორციელების მიდგომებთან დაკავშირებით;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „ხის მხატვრული დამუშავება“ დაზუსტდეს პროგრამის მოცულობა;
- ✓ დაზუსტდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებაში რიგი მნიშვნელოვანი საკითები: მოდულის მოცულობა, სტუდენტების საწარმოში ყოფნის საათები და დრო, პასუხისმგებელობის საკითხები პროფესიული სტუდენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობები სწავლების პერიოდში სტუდენტის მასალა ნედლეულით მომარაგებაზე და სხვა.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი http://www.kms.edu.ge/pdf/katalogi.pdf
კატალოგი მოიცავს ინფორმაციას ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამების (სულ 11 პროგრამა) და საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. კატალოგში სრულად არაა ასახული ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლებსაც ახორციელებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. არაა ასახული არც ანონსი იმ პროგრამების შესახებ რომლის დამატებასაც ახლა აპირებს სასწავლებელი. კატალოგი არ მოიცავს ინფორმაციას არც პარტნიორი ორგანიზაციების, პრაქტიკის ობიექტების შესახებ, არც სხვა დამატებით ინფორმაციას. კატალოგს ვიზიტის დროს არ ჰქონდა არ აქვს მითითებული თუ რომელი წლისაა იგი, რაზეც მიეცათ რეკომენდაცია. საიტზე ვიზიტის მეორე დღეს მიეწერა კატალოგის წელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდი - http://www.kms.edu.ge/pdf/katalogi.pdf

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- ✓ აუცილებელია სისტემატიურად(გონივრულ ვადაში) ხდებოდეს კატალოგის განახლება, უნდა აისახოს ყველა პროგრამა რომელსაც ახორციელებს დაწესებულება;
- ✓ ვინაიდან კატალოგი წარმოადგენს სარეკლამო ხასიათის დოკუმენტს სასურველია ვიზუალურადაც გახდეს უფრო მიმზიდველი. გაჯერდეს რეალური საგანმანათლებლო პროცესის ამსახველი ფოტომასალით,დამატებით მოიცავდეს პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ინფორმაციას სტუდენტების მიღების შესახებ, მოდულის/პრაქტიკის განმახორციელებელი პირების შესახებ, წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ. ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით და სხვა;

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „ხის მხატვრული დამუშავება“ და „სარკინიგზაო გადაზიდვები“, „საბაჟო საქმე“ შეესაბამება შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს:

- ❖ პროგრამა **„გრაფიკული დიზაინის შესრულება“** შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს **„ციფრული ხელოვნება“** (ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი რომლის, საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა: 02122-პ);
- ❖ პროგრამა **„ხის მხატვრული დამუშავება“** შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს-**ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება** (ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი რომლის, საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა: 02123-პ);
- ❖ პროგრამა **„სარკინიგზაო გადაზიდვები“** შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს **„რკინიგზის ოპერირება“** (.ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი რომლის, საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა: 07118-პ);
- ❖ პროგრამა **„საბაჟო საქმე“** შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს **„საბაჟო საქმე“** (.ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი რომლის, საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა: 04116-პ);

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით: „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „სარკინიგზაო გადაზიდვები“ და „საბაჟო საქმე“
- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებით:

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებასა და შეწყვეტას, მობილობას, ასევე, მიღებული განათლების აღიარებასარეგულირებს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვალს #01-05-04/29 დადგენილებით. (მუხლი 1. სტუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება; მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი; მუხლი 3. სტუდენტის პირადი საქმე; მუხლი 4. სასწავლო პროცესის ორგანიზება; მუხლი 5. სტუდენტთა მიღწევების შეფასება; მუხლი 6. სტუდენტის საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებები; მუხლი 7. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება; მუხლი 8. სტუდენტთა შეფასების უწყისი; მუხლი 9. შიდა მობილობა; მუხლი 10. მობილობა; მუხლი 11. მიღებული განათლების აღიარება; მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის შეჩერება; მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა; მუხლი 14. სტუდენტის სტატუსის აღდგენა; მუხლი 15. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები). აღნიშნულ დოკუმენტში რიგი მუხლების დასახელებაში მოხსენიებულია პროფესიული სტუდენტი, რიგ მუხლებში, მხოლოდ სტუდენტი. უმჯობესია დაწესებულებამ დოკუმენტში ან განმარტოს პროფესიული სტუდენტი (შემდგომში სტუდენტი) და მოიხსენიოს შემდეგ სტუდენტად, ან ყველგან დაიცვას ერთგვაროვანი მიდგომა.

ამ დოკუმენტის პირველი მუხლი „სტუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება“ მოიცავს შემდეგ ჩანაწერს „...აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან (ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულ ქმედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან). აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ (პირის კანონიერი წარმომადგენელობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით, რომლის ასლი უნდა ინახებოდეს სტუდენტის პირად საქმეში). დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რაც უნდა იყოს პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში კი მითითებულია ამავე დოკუმენტის მე-3 მუხლში „ სტუდენტის პირადი საქმე“. მოთხოვნილ დოკუმენტთა ჩამონათვალში არაა მითითებული არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში ოფიციალური წარმოადგენლის შესახებ ცნობა/საბუთი, რაც ადასტურებს კანონიერი წარმომადგენლობის უფლებას. ასევე სასურველია აქვე იყოს მოთხოვნილი არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის კომპეტენციის დადასტურების დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც გაანთავისუფლებს მათ ქართული ენის მოდულების გავლის ვალდებულებისაგან.

ამავე დოკუმენტის მუხლი 5. „სტუდენტთა მიღწევების შეფასება“ მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში სტუდენტს, კანონით განსაზღვრული წესით, ეძლევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

აღნიშნული სწავლის შედეგის ხელმეორედ დადასტურების უფლება“. ამ მუხლით არ არის დაკონკრეტებული, თუ რამდენი დრო ეძლევა სტუდენტს შედეგის ხელმეორედ დადასტურებისათვის, არ არის არსად გაწერილი რეგულაცია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს შედეგის ხელმეორედ დადასტურება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობას წარმოადგენს. ამავე დოკუმენტის მუხლი 4. პუნქტი 11. არის ჩანაწერი „სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას და დაცული უნდა იქნეს მოდულებზე დაშვების წინაპირობები.(არსებობის შემთხვევაში).
პუნქტი 12. „თუკი მოდული არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, სასურველია ამ მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა„. მიზანშეწონილი იქნებოდა ეს რეგულაციები დასინქრონდეს და შეიქმნას გამჭვირვალე, ზუსტი ინსტრუქცია, თუ როგორ ხდება შედეგის განმეორებით დადასტურება.

დოკუმენტის მუხლი 6. “ სტუდენტის საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებები“ ვკითხულობთ, რომ პროფესიულ სტუდენტთან იდება ორი ტიპის ხელშეკრულება: საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულება, რომლებსაც ხელს აწერს უშუალოდ სტუდენტი; სტუდენტის არასრულწლოვანებისას საფინანსო ხელშეკრულებას ხელს აწერს ასევე მისი მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი. კანონიერი წარმომადგენელობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით, რომლის ასლი სასურველია ინახებოდეს სტუდენტის პირად საქმეში. ამ ჩანაწერის მიხედვით მოთხოვნა ამ დოკუმენტის არსებობის შესახებ უნდა იყოს ასახული ამ დოკუმენტის მესამე მუხლშიც“ სტუდენტის პირადი საქმე“.

ამავე მუხლის (6) პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ „სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება და/ან სწავლების საფასურის გადახდა) რეგისტრაცია.“ მე-15 პუნქტში ვკითხულობთ, რომ „თუ სტუდენტი არ/ვერ გაივლის აკადემიურ და/ან ადმინისტრაციულ რეგისტრაციას (ანუ, ამ მიზნით დადგენილი ვადის გასვლიდან 2 კვირის შემდეგ შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. მისი გვარი და სახელი არ აისახება უწყისში/ამოღებული იქნება უწყისიდან.“ ამავე მუხლის მეორე პუნქტში კი წერია, რომ :
„აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობად ჩაითვლება ჩარიცხვის შემდეგ დეკანატში გამოუცხადებლობა, სათანადო დოკუმენტაციის (დაბადების მოწმობის/პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული საბუთი/საბუთები, სტუ-ს რექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული სხვა საბუთები) წარმოუდგენლობა და/ან სასწავლო ხელშეკრულების გაუფორმებლობა, აგრეთვე: „ სამი და მეტი მოდულის სწავლის შედეგების დაუდასტურებლობა; დამატებითი სასწავლო ხელშეკრულების გაუფორმებლობა.“
როგორ შეიძლება საქმე მივიდეს სამი და მეტი მოდულის სწავლის შედეგების დაუდასტურებლობამდე, თუ რეგისტრაციის გაუვლელობიდან 2 კვირაში უჩერდება სტუდენტის სტატუსი. ეს პუნქტი მთლიანად გასამართია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვალს #01-05-04/29 დადგენილებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- ✓ სასურველია დოკუმენტის „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“სახელწოდებაში ჩანაწერი „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე“ შეიცვალოს ჩანაწერით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე“.
- ✓ აღნიშნულ დოკუმენტში(„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“) რიგი მუხლების დასახელებაში მოხსენიებულია პროფესიული სტუდენტი, რიგ მუხლებში, მხოლოდ სტუდენტი. უმჯობესია დაწესებულებამ დოკუმენტში ან განმარტოს პროფესიული სტუდენტი(შემდგომში სტუდენტი) და მოიხსენიოს შემდეგ სტუდენტად, ან ყველგან დაიცვას ერთგვაროვანი მიდგომა.
- ✓ დაზუსტდეს პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეში დაცული დოკუმენტების ნუსხა;
- ✓ დაზუსტდეს და გაიწეროს სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის აღნიშნული სწავლის შედეგის ხელმეორედ დადასტურების პროცედურები და წესი;
- ✓ დაზუსტდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების წინაპირობები და პროცედურები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ერთგვაროვანი მიდგომების დანერგვის და განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიული სწავლების ადმინისტრირებისათვის შექმნას სათანადო მანდატით აღჭურვილი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული;
- ✓ რეკომენდებულია დაწესებულებამ ბოლომდე გამიჯნოს პროფესიული და აკადემური პროგრამების განხორციელების რეგულაციები, ასევე თითოეული პროცესისათვის დეტალურად გაწეროს არა მხოლოდ პრინციპები, რაც კანონმდებლობით ისედაცაა დადგენილი, არამედ მათი აღსრულების პროცედურები;

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დადგენილება №01-05-04/29, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვალს) მუხლი 10. მობილობა, ვკითხულობთ: „სტუ უფლებამოსილია შესთავაზოს სტუდენტს მობილობა შემდეგი გარემოებების წარმოშობისას: ა) სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და სტუ-ს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი; ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. 10. ამ მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემოების დადგომისას, სტუ უფლებამოსილია შესთავაზოს სტუდენტს შიდა მობილობა უნივერსიტეტში არსებულ სხვა, მონათესავე პროფესიულ პროგრამაზე. 11. იმ შემთხვევაში თუ სტუ-ს არ გააჩნია ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პროგრამა, სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას, რათა მან დაასრულოს სწავლა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ამ დაწესებულებასა და სტუ-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის/ ხელშეკრულების საფუძველზე".

დაწესებულებას გაფორმებული აქვს №01-08-17/46-2019-4 17/06/2019 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შეუზღუდავი ვადით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც მხარეები იღებენ ვალდებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საბაჟო საქმე"** გაუქმების შემთხვევაში ითანამშრომლონ პროფესიული სტუდენტების მობილობის შეუფერხებლად განხორციელებაში კანონმდებლობის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სარკინიგზო გადაზიდვები"** მობილობის პროცესის ხელშეწყობის მიზნით 2019 წლის 5 ივლისს განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ააიპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„გრაფიკული დიზაინის შესრულება"** მობილობის პროცესის ხელშეწყობის მიზნით 2018 წლის 22 ნოემბერს გაფორმებული აქვს №01-08-15/977-2018-2 ხელშეკრულება უვადოდ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან", სადაც მხარეები იღებენ ვალდებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება და სტუდენტების ერთმანეთის სასწავლო დაწესებულებებში გადაყვანისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, შიდა ინსტრუქციების შესაბამისად.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ხის მხატვრული დამუშავება",** დაწესებულებას არ ჰქონდა არც ერთ ორგანიზაციასთან მემორანდუმი, ან ხელშეკრულება მობილობის პროცესის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული რეკომენდაცია მიეცა დაწესებულებას. ვიზიტის მიმდინარეობისას როგორც გვითხრეს გაფორმდა ხელშეკრულება სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ მერმისთან „ხის მხატვრული დამუშავების" პროგრამის უზრუნველსაყოფად, თუმცა ფიზიკურად ხელშეკრულება არ წარმოუდგენიათ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვალის №01-05-04/29 დადგენილებით)
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული #01-08-17/46-2019-4 17/06/2019 მემორანდუმი შეუზღუდავი ვადით;
- ააიპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან, 2019 წლის 5 ივლისს გაფორმებული მემორანდუმი განუსაზღვრელი ვადით.
- 2018 წლის 22 ნოემბერს უვადოდ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან" გაფორმებული №01-08-15/977-2018-2 ხელშეკრულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში დამტკიცებულია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის № 01-06-02/06 დადგენილებით „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“, ამას გარდა როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა განგვიმარტა რომ სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ იყო დამტკიცებული დოკუმენტი პროგრამის დაგეგმვის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“ ეს ეხებოდა სრულიად უნივერსიტეტის (უმაღლესი, პროფესიული) საგანმანათლებლო პროგრამებს. პროფესიული ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო რეკომენდაცია, რომ მარეგულირებელი დოკუმენტაცია გაყოფილიყო, ამის შედეგად სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის No 01-05-04/176 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. გავეცანით აღნიშნულ დოკუმენტს, სადაც მხოლოდორი აბზაცი ეხება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას: „მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

1. სტუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად და პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შეიმუშავებს მექანიზმს (სხვადასხვა კითხვარების ფორმები, ჩატარების პროცედურები და ვადები) და ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით წარუდგენს დასამტკიცებლად სტუ-ს რექტორს.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება უნდა მოხდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გარე ინიცირების წესისა და პროცედურების შესაბამისად.“

პროგრამის განხორციელების შეფასების ნაწილს მოიცავს გარკვეუწილად ამავე დოკუმენტში **მუხლი 9**. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი“ სადაც ვკითხულობთ, რომ პროგრამის ხელმძღვანელი:
ა) აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში, საჭიროების შემთხვევაში ახდენს მის მოდიფიცირებას;
დ) პროგრამის განხორციელების შესახებ ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ და ასევე, პროგრამის დასრულების შემდეგ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

ე) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამისა და მისი განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასების პროცესის წარმართვას;

სტუ-ში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ სტუ-ს რექტორის 2016 წლის 7 დეკემბრის N237 ბრძანების საფუძველზე შექმნილია პროფესიული პროგრამების განხორციელების პროცესის შიდა მონიტორინგის კომისია, რომელშიც შედიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სწავლების დეპარტამენტის თანამშრომლები და პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელები. კომისიის წევრების მოვალეობაა: მონიტორინგის გეგმის შედგენა, მონიტორინგის ჩატარება, საჭირო ინფორმაციის შეგროვება, პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრა, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის შემოწმება და პროგრამის დანერგვის მიმდინარეობის და მონიტორინგის განხორციელების შესახებ ინფორმაციის წარდგენა და სხვა.

აღნიშნული აქტივობების დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი საკონტაქტო საათზე დასწრებასთან დაკავშირებით, რამდენიმე გასული წლების და ერთი 2019 წლის, რომლებიც შინაარსობრივად თითქმის იდენტურია, მხოლოდ განმახორციელებელი პირის ვინაობა და მოდულებია სხვადასხვა, ასევე წარმოდგენილ იქნა 2016 წლის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში და 2017 წლის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2017-2018 წ.წ.) შესრულების ანგარიში.
უნივერსიტეტის საიტზე დევს ასევე „სტუდენტის მიერ პედაგოგის შეფასების კითხვარი“(http://gtu.ge/quality/Files/Pdf/kitxvari%20%28Studenti%29.pdf)
აღნიშნულ სისტემაში არ არის გაწერილი თუ რა თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს აქტივობები, რა სიხშირით, რა არის მათი შესრულების ინდიკატორი/მტკიცებულება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/quality/
- ✓ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის No01-05-04/176 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- ✓ ,,მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ სტუ-ს რექტორის 2016 წლის 7 დეკემბრის N237 ბრძანება.
- ✓ „სტუდენტის მიერ პედაგოგის შეფასების კითხვარი“(http://gtu.ge/quality/Files/Pdf/kitxvari%20%28Studenti%29.pdf)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- ✓ სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს *დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე* ციკლს, წარმოდგენილი იყოს უფრო ვრცლად კონკრეტული რეგულაციების სახით, შეიქმნას სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

კითხვარებიც გარდა სტუდენტის კითხვარისა. ვთქვათ: კურსდამთავრებულთა, პრაქტიკის განმახორციელებელი პირების და სხვა, რათა კვლევა უფრო მრავალმხრივი გახდეს , რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას მეტი ინდიკატორით შეაფასოს პროგრამების განხორციელების ხარისხი.

- ✓ სასურველია კითხვარების სახელწოდებები (სტუდენტთა კითხვარი; პედაგოგთა კითხვარი) ჩამოყალიბდეს შედეგნაირად პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების კითხვარი; პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი.
- ✓ სასურველია, დეტალურად გაიწეროს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო ინსტრუქცია;

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	ქ.თბილისი. კოსტავას ქ. №68 I კორპუსი	30 383კვ.მ0

იჯარის ხელშეკრულებები გატარებულია საჯარო რეესტრში და ასახულია ამონაწერებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

დაწესებულებაში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო A,B,C.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას გააჩნია თითოეული დასამატებელი პროგრამისთვის საჭირო ყველა ტიპის სასწავლო გარემო, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„საბაჟო საქმე“** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 556-ის სახით (ფართობი 50მ2), სადაც განთავსებულია 16 ერთადგილიანი მაგიდა 16 სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, სულ 16 კომპიუტერი. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და თითოეულში ჩაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამა E-customs.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„საბაჟო საქმე“,** გამოყოფილია A და C ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 689-ის სახით (ფართობი 25მ2), სადაც განთავსებულია 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი მაგიდა სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პრინტერი, პროექტორი, ეკრანი, დაფა, საკანცელარიო ნივთები და C გარემოსთვის განკუთვნილი აღჭურვილობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„საბაჟო საქმე“** მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 30. პროფესიული სტუდენტების მიღება ცხადდება წელიწადში ორჯერ. თითოეულ მიღებაზე მოხდება არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. სათანადო ინვენტარი საკმარისია მოთხოვნილი კვოტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„სარკინიგზო გადაზიდვები“,** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 556-ის სახით (ფართობი 50მ2), სადაც განთავსებულია 16 ერთადგილიანი მაგიდა 16 სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, სულ 16 კომპიუტერი. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და თითოეულში ჩაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სპეციალური კომპიუტერული პროგრამა TRANS TRADE.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„სარკინიგზო გადაზიდვები“,** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 438-ის სახით (ფართობი 45მ2), სადაც განთავსებულია 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი მაგიდა სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პრინტერი, პროექტორი, ეკრანი, დაფა და საკანცელარიო ნივთები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„სარკინიგზო გადაზიდვები“** მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 30. პროფესიული სტუდენტების მიღება ცხადდება წელიწადში ორჯერ. თითოეულ მიღებაზე მოხდება არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. სათანადო ინვენტარი საკმარისია მოთხოვნილი კვოტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„გრაფიკული დიზაინის შესრულება“** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 556-ის სახით (ფართობი 50მ2), სადაც განთავსებულია 16 ერთადგილიანი მაგიდა 16 სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, სულ 16 კომპიუტერი. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფა და საკანცელარიო ნივთები. სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და თითოეულში ჩაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„გრაფიკული დიზაინის შესრულება“,** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო 704-ის სახით (ფართობი 25მ2), სადაც განთავსებულია 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი მაგიდა სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პრინტერი, პროექტორი, ეკრანი, დაფა, და საკანცელარიო ნივთები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„გრაფიკული დიზაინის შესრულება“** მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 30. პროფესიული სტუდენტების მიღება ცხადდება წელიწადში ორჯერ. თითოეულ მიღებაზე მოხდება არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. სათანადო ინვენტარი საკმარისია მოთხოვნილი კვოტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ხის მხატვრული დამუშავება“** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 556-ის სახით (ფართობი 50მ2), სადაც განთავსებულია 16 ერთადგილიანი მაგიდა 16 სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, სულ 16 კომპიუტერი. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და თითოეულში ჩაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ხის მხატვრული დამუშავება“,** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო 203-ის სახით (ფართობი 25მ2), სადაც განთავსებულია 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი მაგიდა სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პრინტერი, პროექტორი, ეკრანი, დაფა, და საკანცელარიო ნივთები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ხის მხატვრული დამუშავება“,** გამოყოფილია C ტიპის სასწავლო გარემო წარმოდგენილი ლაბორატორიის „მერქნული მასალების დამზადებისა და დამუშავების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ სახით, სადაც განთავსებულია C ტიპის სასწავლო გარემოსთვის განკუთვნილი აღჭურვილობა და დანადგარები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ხის მხატვრული დამუშავება“,** მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 30. პროფესიული სტუდენტების მიღება ცხადდება წელიწადში ორჯერ. თითოეულ მიღებაზე მოხდება არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. სათანადო ინვენტარი საკმარისია მოთხოვნილი კვოტისთვის.

ყველა ფართი უზრუნველყოფულია ბუნებრივი განათებითა და ცენტრალური ვენტილაცია-გათბობის სისტემით, ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებით და სიგნალიზაციით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- საინვენტარო წიგნით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სასწავლო გარემო სრულად უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და ცენტრალური გათბობით. დაწესებულება იხდის ელექტროენერგიის ყოველთვიურ გადასახადს.

დაწესებულება მიერთებულია წყალმომარაგების ქსელზე და უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგებით. დაწესებულება არის GWP - ს აბონენტი და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. დაწესებულებაში არის სველი წერტილები ცალკე ქალებისთვის და ცალკე მამაკაცებისთვის. დაწესებულებაში არსებობს სველი წერტილი, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

დაწესებულება უზრუნველყოფილია მუდმივი გაზმომარაგებით. არის შპს „ყანსტრანსგაზ-თბილისი“-ის აბონენტი და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- კომუნალური გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებთ.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ს აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია შემდეგი პუნქტები: ზოგადი დებულებანი, ბიბლიოთეკის სტრუქტურა, ბიბლიოთეკაში გაწევრიანება, ბიბლიოთეკის მკითხველის უფლება-მოვალეობანი, სამკითხველო დარბაზში მოქცევის წესები, ბიბლიოთეკის წიგნის გატანის პროცედურა, ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსები, მკითხველთა პასუხისმგებლობა, ბიბლიოთეკის მუშაობის დრო) სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10:00სთ-20:00სთ, შაბათი 10:00სთ-16:00სთ). დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს - „სენატის“ მიერ

ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის განყოფილება http://gtu.ge/Library/ რაც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ელექტრონული კატალოგი
- სამეცნიერო მონაცემთა ბაზები
- ციფრული ბიბლიოთეკა
- მომსახურება
    - სარგებლობის წესი
    - სამუშაო საათები
- ჩვენ შესახებ
    - მოკლე ინფორმაცია
    - ფილიალები
    - სტრუქტურა
    - დებულება
    - სარგებლობის წესები
    - სამუშაო საათები
    - კონტაქტი
- გამომცემლობა "NOVA"-ს კატალოგი
- გრანტის დაფინანსების მოპოვება და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამკითხველო დარბაზით. დასამატებლად წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული სასწავლო რესურსის მიხედვით შერჩევით შემოწმდა ბიბლიოთეკაში ლიტერატურის არსებობა. ყველა მოთხოვნილი წიგნი ადგილზე იყო. დამუშავებული და აღრიცხული შესაბამისი წესით. ელექტრონული წიგნები ჩატვირთულია სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე დათვალიერებულ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკაც, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ კორპუსში. ბიბლიოთეკას გააჩნია სამკითხველო დარბაზი, ბეჭდური და ელექტრონული კატალოგი, კომპიუტერული ცენტრი, დასასვენებელი ოთახი.

ბიბლიოთეკებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის სამუშაო საათები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

- ვებ გვერდი http://gtu.ge/Library/Fund/;
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს საკუთრებაში აქვს 67 სამაგიდო კომპიუტერი, აქედან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენება 63, ხოლო ფაკულტეტის ადმინისტრაცის მართვაში - 4 სამაგიდო კომპიუტერი.

ფაკულტეტი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ასევე იყენებს 5 ცალ პროექტორს საკიდით და ამდენივე პროექტორის ეკრანს.
ფაკულტეტს აქვს 6 ცალი მრავალფუნქციური პრინტერი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები).

შენობის ყველა სართულზე დამონტაჟებულია ქსელური მოწყობილობები, რომლის მეშვეობით ხორციელდება ინტერნეტ კავშირი.

სტუ-ს მართვის პროცესში გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა და ვებ გვერდი. დაწესებულება ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ვებ გვერდი დომენური სახელით - "www.gtu.ge" წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ვებგვერდით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას გააჩნია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც დამტკიცებულია 2018 წლის 16 თებერვლის №29 ბრძანებით. რომლის მიხედვითაც გაწერილია დოკუმენტებისა და საქმისწარმოების წესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების გაფორმებისათვის საჭირო რეკვიზიტები, აღრიცხვა და ა.შ. ხდება ბრძანებების, ცნობების და საფინანსო ხელშეკრულებების აღრიცხვა ბეჭდური რეგისტრაციის ჟურნალში. ბეჭდური რეგისტრაციის ჟურნალი დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, რაც უზრუნველყოფს სანდოობას და მთლიანობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სარეგისტრაციო ჟურნალებით;
- სტუ-ს საქმისწარმოების ერთიანი წესით, დამტკიცებული სტუ-ს რექტორის 2018 წლის 16 თებერვლის №29 ბრძანებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დაწესებულებას გააჩნია სათანადო უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა, რომელიც განთავსებულია დაწესებულების დაცვის ცენტრალურ ოთახში, ხოლო საევაკუაციო გეგმის ასლები განთავსებულია დაწესებულების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე. ყველა სართულზე განლაგებულია ექსპლუატაციისთვის ვარგისი ცეცხლმაქრები, მათი გამოყენების ინსტრუქციით.

დაწესებულებას ყავს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, შემუშავებული აქვს „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულება“ (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01“ სხდომის 01-06-„02/06“ დადგენილებით), რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგის და ქონების დაცვას, ობიექტზე არსებული ვითარების უწყვეტ სადღეღამისო მონიტორინგს, უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების ნორმალური ფუნქციონირების კონტროლს, ობიექტზე პერსონალის დაშვების უზრუნველყოფას დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას 24 საათის განმავლობაში. ასევე საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში უნივესიტეტის ტერიტორიაზე მყოფ პირებს აღმოუჩინოს გადაუდებელი პირველადი დახმარება ან/და უზრუნველყოს მისი გადაყვანა უნივერსიტეტის უახლოეს სამედიცინო პუნქტში დახმარების აღმოსაჩენად.
სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულებაში, მისამართზე ქ. თბილისი, კოსტავას №68, არსებობს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით/ინვენტარით. პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფისათვის დაწესებულებას ჰყავს - მედდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01“ სხდომის 01-06-„02/06“ დადგენილებით, დამტკიცებული „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულება“.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7.დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტი ამ ეტაპზე არ არის ლიფტის ან პანდუსის გამოყენების საშუალება სსსმ პირებისათვის, როგორც რექტორმა განგვიმარტა აქვთ ეგრეთწოდებული კიბემავალი (შექმნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიაში), რომელზეც მონტაჟდება სსსმ პირისთვის განკუთვნილი სავარძელი და დამხმარე პირის მეშვეობით გადაადგილდება კიბეზე.
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01“ სხდომის 01-06-„02/06“ დადგენილებით დამტკიცებული „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულების“ მე-15 მუხლის 2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად დაცვის თანამშრომელი ვალდებულია სპეციალური საჭიროების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს აღმოუჩინოს დახმარება.
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ შენობა-ნაგებობა, სადაც უნდა განხორციელდეს დასამატებელი პროგრამების სწავლება, არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და მასში პანდუსების, კიბეების დამატება და სხვა რაიმე კონსტრუქციული ცვლილებების განხორციელება შეუძლებელია.
ვიზიტის დროს ვერ მოხდა „კიბემავლის“ დათვალიერება, როგორც განგვიმარტეს წაღებული იყო გამოფენაზე, ვნახეთ ვიდეოკადრები, სადაც ჩანს მხოლოდ კიბემავალი მოქმედებაში ეტლის(საცდელი პირის) გარეშე. შესაბამისად ექსპერტებს ვერ მიეცათ მისი შეფასების საშუალება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01“ სხდომის 01-06-„02/06“ დადგენილებით დამტკიცებული „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულება“;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით

ხარვეზი:

- კორპუსი, სადაც უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, არ არის ადაპტირებული, კერძოდ, არც ერთ კიბეზე არ არის ასასვლელი პანდუსი. ზემოთხსენებული „კიბემავალიც“ ვიზიტის დროს არ იყო ადგილზე, არ ყოფილა წარმოდგენილი არც ფოტო, არც ვიდეომასალა, სადაც ჩანს როგორია ეს მოწყობილობა მოქმედებაში, ანუ ადამიანის აყვანის ტესტი. შესაბამისად აღნიშნული სიტუაციის შეფასებით ვერ დადგინდა ადაპტირებული გარემოს არსებობა.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიიმოხილვა და ანალიზი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.gtu.ge ორენოვანია (ქართული და ინგლისური) მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და მოიცავს მრავალმხრივ ინფორმაციას უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ. ვებ-გვერზე განთავსებულია ასევე ინფორმაცია სტრუქტურის, პერსონალის, ფაკულტეტების, აქტივობების, ღონისძიებების, ბიბლიოთეკის, საზოგადოებრივი, სპორტული მოვლენების შესახებ. ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. განთავსებულია პროფესიული პროგრამების კატალოგი.

ვებ-გვერდზე ინფორმაცია განახლებადია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით: www.gtu.ge
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ) განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული (2018-2024 წწ) და სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2020 წწ), რომელთა მიზნებიც შესაბამისობაშია და გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძვლები; სიტუაციური ანალიზი; SWOT ანალიზი; სტუ-ს განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები 2018-2024 წწ.; სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები და სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება დაწესებულების მიზნების მიღწევას. სამოქმედო გეგმის მიზანი №5-ის ამოცანა 5.2 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, ითვალისწინებს: პროფესიულ კადრებზე ბაზრის მოთხოვნის შესწავლას და შესაბამისი ანალიზის გაკეთებას; შემოსული განცხადებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნათა ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შედგენას; პროფესიული სწავლების სტუდენტებისათვის სასწავლო ლაბორატორიების და სახელოსნოების მოწყობას; საწარმოებში უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით ინჟინრებისა და ტექნიკური პერსონალის გადამზადებას OSHA-ს ტრენინგკურსის პროგრამით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმით (2018- 2024წწ);
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმით (2018- 2020წწ);
http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.pdf

შეფასება:
- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობის დაკავების წესი გაწერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 36 მუხლით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესის 2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუხლით (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეებით;
- ✓ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესით (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით);
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესი“ დამტკიცებული სტუ-ს აკადემიური საბჭოს №200 დადგენილებით. აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოთვლილია ის დოკუმენტები, რომელიც პედაგოგმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოზე აყვანის დროს. არ არის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პროცესში გადამოწმებულ იქნა პროგრამების განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები. წარმოდგენილი საბუთების სისწორე და მოდულის შინაარსთან დიპლომებში მითითებული კვალიფიკაციების თავსებადობა.
საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 13 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **საბაჟო საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 30/13.
სარკინიგზო გადაზიდვების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 19 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **სარკინიგზო გადაზიდვების** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 30/19.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 14 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **ხის მხატვრული დამუშავების** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 30/14.

გრაფიკული დიზაინის შესრულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 11 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **გრაფიკუ;ლი დიზაინის შესრულება** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 30/11.

პროფესიული განათლების მასწავლებლის მაკა ჟ…... (ძერწვის საფუძვლები) დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა აღნიშნულ პიროვნებას პირად საქმეში წარმოდგენილი აქვს დიპლომები, იყო სხვა გვარზე მაკა ჩ..... სახელზე, დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი გვარის შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც დაადასტურებს რომ ეს ორი პიროვნება ერთი და იგივეა. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს აღნიშნული პირის მიერ გვარის შეცვლას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესი“ დამტკიცებული სტუ-ს აკადემიური საბჭოს №200 დადგენილებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- ✓ დაწესებულებამ საკუთარ მარეგულირებელ დოკუმენტში აღწეროს პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება დამტკიცებული დოკუმენტის „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესის“ შესაბამისად (მუხლი 1 პროფესიული მასწავლების სამსახურში აყვანა; მუხლი 2 მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა; მუხლი 3 მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა).

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებულია „წინარე ხელშეკრულება შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ“. რაც იდეაში გულისხმობს რომ შემდეგ მათ გაუფორმდებათ შრომითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულება. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს არ უფორმდებათ შრომითი ხელშეკრულება, არამედ იწერება ერთიანი ბრძანება მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვრთვისა და ანაზღაურების შესახებ. ბრძანებაში პროფესიული განათლების მასწავლებელლი მოხსენიებულია როგორც „მოწვეული მასწავლებელი“, არ არის მითითებული თუ რომელ მოდულს განახორციელებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

✓ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს დასაქმებულის სტატუსი, განსახორციელებელი სასწავლო კურსის/კურსების დასახელება, კანონი პროფესიული განათლების შესახებ ცნობს პროფესიული განათლებლის მასწავლებლის სტატუსს, შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელ პირებთან სწორედ ამ სტატუსით უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებები. წინარე ხელშეკრულებაშიც სასურველია ჩანდეს ის პირობები, რაც შემდგომი შრომითი ურთერთობების დროს იქნება დადგენილი.

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1	გრაფიკული დიზაინის შესრულება	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში 0211	90	120	ქართული	ქ.თბილისი. კოსტავას ქ. №68 I კორპუსი	-	30
2	ხის მხატვრული დამუშავება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში0214	89	104	ქართული	ქ.თბილისი. კოსტავას ქ. №68 I კორპუსი	-	30
3	სარკინიგზაო გადაზიდვები	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში/1041	90	120	ქართული	ქ.თბილისი. კოსტავას ქ. №68 I კორპუსი	-	30
4	საბაჟო საქმე	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში/1032	93	123	ქართული	ქ.თბილისი. კოსტავას ქ. №68 I კორპუსი	-	30

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში2016
დანართი 2. ბრძანება საათობრივი ანაზღაურების შესახებ
დანართი 3. წინარე ხელშეკრულება პროფ. მასწავლებელთან
დანართი 4. ხელშეკრულება ფაუნტეინ ჯორჯიასთან

03.09.2019
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: